კავკასიის უნივერსიტეტების ასოციაციის და თავრიზის უნივერსიტეტის ერთობლივი

კავკასია - ახალგაზრდული ხედვები II

(დოქტორანტთა და მაგისტრანტთა საერთაშორისო სიმპოზიუმი)

1-3 მაისი 2014 თავრიზი-ირანი

ცირკულარი

თარიღი	თემა	საათი	განმარტება
24 იანვარი 2014	ცირკულარის დაგზავნა კავკასიის უნივერსიტეტების ასოციაციის წევრი უნივერსიტეტებისთვის და მისი ატვირთვა ვებ-გვერდზე	--	უნივერსიტეტების ინფორმირება
25 იანვარი-20 თებერვალი 2014	განაცხადების მიღება, კავკასიის უნივერსიტეტების ასოციაციის ვებ - გვერდზე (KÜNİB) არსებული ფორმების სრულად შევსება და ონლაინ რეჟიმით ატვირთვა	--	
25 თებერვალი 2014	მიღებული განაცხადების შესახებ შეტყობინებების დაგზავნა		
2 მარტი 2014	სავიზო რეჟიმს დაქვემდებარებული ქვეყნების მონაწილეთა ოფიციალური მოწვევის და სავიზო რეჟიმის საკითხის მოგვარება	--	ოფიციალური მოსაწვევების დაგზავნის ბოლო დღე
30 აპრილი 2014	მონაწილეთა ვიზიტი თავრიზში	შუადღის შემდეგ	სასტუმროში განთავსება
1 მაისი 2014	**"კავკასია - ახალგაზრდული ხედვები II" პროგრამა**	08.30-10.30	გახსნა (სხდომათა დარბაზი)
1 მაისი 2014	სხდომები (ბიზნესი და მართვა, ისტორია-არქეოლოგია-გეოგრაფია, ენა-ლიტერატურა, ინჟინერია, სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებები-საერთაშორისო ურთიერთობები)	11.00-13.00	სხდომები 6 სექციად
1 მაისი 2014	სხდომები	15.00-18.00	სხდომები 6 სექციად
2 მაისი 2014	სხდომები, დახურვა და ექსკურსია	08.30-13.00	სხდომათა დარბაზი
3 მაისი 2014	შუადღის შემდეგ წასასვლელ მონაწილეთა გამგზავრება.	16.00- ***	სასტუმროდან გამგზავრება

შენიშვნა:

ა) სიმპოზიუმის მიზანია კავკასიის უნივერსიტეტების ასოციაციის წევრი უნივერსიტეტების მაგისტრანტ და დოქტორანტ სტუდენტებს შორის რეგიონის მომავლის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის ხელის შეწყობა, კულტურული

ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება, მომავლის ერთობლივი დაგეგმვა. “კავკასია - ახალგაზრდული ხედვები II” სიმპოზიუმს მასპინძლობს თავრიზის უნივერსიტეტი.

ბ) მოხსენებები გაიმართება შემდეგ სექციებში: **ა)** ბიზნესი და მართვა, **ბ)** ისტორია-არქეოლოგია-გეოგრაფია, **გ)** ენა-ლიტერატურა, **დ)** ინჟინერია, **ე)** სოციოლოგია, **ვ)** პოლიტიკური მეცნიერებები-საერთაშორისო ურთიერთობები.

გ) მონაწილეობის მსურველებს გზის ხარჯები არ აუნაზღაურდებათ. კავკასიის უნივერსიტეტების ასოციაციის წევრი უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ჩავლენ არდაგანში ან ყარსში, არდაგანის უნივერსიტეტი, თავრიზამდე და უკან, მოემსახურება ავტობუსით. სასტუმროში განთავსების და კვების ხარჯებს აანაზღაურებს თავრიზის უნივერსიტეტი.

დ) ყველა ღონისძიება გაიმართება თავრიზის უნივერსიტეტში. საზეიმო გახსნის და დახურვის ცერემონიალები გაიმართება ვაჰდეთის ამფითეატრში. სექციური სხდომები გაიმართება ფაკულტეტების სხდომათა დარბაზებში.

ე) თურქეთის გამოკლებით, ყველა დანარჩენი ქვეყნის მონაწილე ვალდებულია აიღოს ირანის ვიზა თავის ქვეყანაში აკრედიტებულ ირანის საელჩოში ან საკონსულოში.

ვ) აუცილებელია სათანადო დოკუმენტაციის მომზადება და დადგენილ ვადებში წარმოდგენა. ასევე, ცირკულარზე სათანადო პასუხის დროულად გაცემა და პროგრამის შესაბამისად მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონაწილეობა შეუძლებელი გახდება.

ზ) მოხსენებისთვის განსაზღვრულია 15 წუთი. სამუშაო ენები - სპარსული, ინგლისური, ქართული, რუსული, თურქული. სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებლად აუცილებელია მოხსენებების და რეზიუმეს ინგლისური თარგმანი.

თ) ირანის სოციალური კანონმდებლობიდან გამომდინარე, ქალები ვალდებულნი არიან ატარონ თავსაფარი. ამდენად, უნივერსიტეტებს მოეთხოვებათ აღნიშნული საკითხის მიმართ გამოიჩინონ სათანადო ყურადღება.

თურქეთის ავიახაზები სტამბოლიდან ფრენებს ახორციელებს ღამის საათებში, 04:20 წუთზე. აქედან გამომდინარე, მონაწილენი თავრიზში უნდა ჩამოფრინდნენ 2014 წლის 30 აპრილის ღამეს. მონაწილეთა გასამგზავრებლად, დილის 05: 30 სთ–ზე, გამოყოფილი იქნება ავტობუსი, რომელიც გავა სასტუმროდან. დარჩენილ მონაწილეებს, რომლებიც მიემგზავრებიან სახმელეთო გზით, შეუძლიათ გავიდნენ სასტუმროდან 08:30 სთ–ის შემდეგ. დამატებით დარჩენის მსურველებს სასტუმროს და კვების ხარჯები არ აუნაზღაურდებათ.

საკონტაქტო ინფორმაცია

ირანი: Prof. Dr. Ali TABATABİE
თავრიზის უნივერსიტეტი: 0098(411)3344273
e-mail: international@tabrizu.ac.ir

თურქეთი: Prof. Dr. Ghadir GOLKARIAN (Kadir GÜLDİKEN)
არდაგანის უნივერსიტეტი: 0090(478)2115000 (Ext. 2255)
მობილური: 00 90 (545) 7653603
e-mail: ghgolkarian@ardahan.edu.tr

საქართველო: პორფ. როინ ყავრელიშვილი
e-mail: roinkav@rambler.ru